პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 281 (19722) კვირა, 7 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა გრუ ჰარლემ ბრუნდტლანდს

5 **დეკემბერს** მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს, ნორვეგიის მუშათა პარტიის თავმჯდომარეს გრუ ჰარლემ ბრუნდტლანდს.

მეგობრულ და გულადილ ატმოსფეროში გაიმართა საუბარი ფართო წრის საკითხებზე ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო საქმეების შესახებ. გვინდა, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ჩვენი მეტად ესმოდეთ მეზობლებს. ნორვეგიასთანაც გვინდა კეთილგობრობთ. თუ წამოიჭრება კითხვები, გაუგებრობა, მოგვმართეთ უშუალოდ, ჩვენ მზად ვართ გადაგწყვიტოთ ისინი ორმხრივი ინტერესებისათვის, კეთილდ — ის საკითხებიც, კონტინენტურ შელფთან და ბარენცის ზღვაში ეკონომიკური ზონების განაწილებასთან რომ არის დაკავშირებული. ნორვეგიასთან ურთიერთობაში არავითარი ბოროტი ზრახვები არა გვაქვს. ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია სიმშვიდეთ იკიდება მის ხალხს. და სიმშვიდეს, რომელიც საბჭოთა კავშირის მიმართ ნორვეგიის ურთიერთობაში შეიმჩნევა, არავითარი საფუძველი არ გააჩნია. არ არის ნორმალური, რომ ორ ქვეყანას შორის უკვე თითქმის 15 წელიწადია არ ყოფილა კონტაქტები მაღალ დონეზე.

თანამოსაუბრეებმა დათქვეს განაგრძონ დიალოგი, იქონიონ კონსტრუქციული, შინაარსიანი ურთიერთობა როგორც სახელმწიფო, ისე პარტიულ დონეზე — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ნორვეგიის მუშათა პარტიას შორის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებსა და გ. ჰ. ბრუნდტლანდს როგორც სოციალ-დემოკრატიის ვიცე-თავმჯდომარეს შორის.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: ეს პირველი გაცნობაა და ამიტომ მინდა უკეთ გქონდეთ წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიური საფუძვლები. მან გააცნო გ. ჰ. ბრუნდტლანდს საბჭოთა კავშირის შეხედულებანი თანამედროვე მსოფლიოზე.

ზოგადი სიტუაცია ავის მომასწავებელია, მაგრამ მასში მოქცეულია აგრეთვე დაძაბულობის შენელების, თანამშრომლობის დიდი შესაძლებლობანი. საამისოდ საჭიროა უკუვაგდოთ წარსულისთვის დამახასიათებელი წარმოდგენები, თითქოს საერთაშორისო პოლიტიკას განსაზღვრავდეს ერთი რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესები.

ასობით სახელმწიფო გამოვიდა მსოფლიო ასპარეზზე მთელი თავისი თავისებურებებითა და განსხვავებითურთ. და ამიტომ გვმართებს ანგარიში გავუწიოთ მათს დამოუკიდებლობის უფლებას, თავისთავადი პოლიტიკის, საკუთარი სოციალური არჩევანის უფლებას. ამ ფუნდამენტური წესის დარღვევა კონფლიქტებისა და დაძაბულობის წყაროა. საბჭოთა კავშირი ამ წესით ხელმძღვანელობს და კვლავაც დაიცავს მას ყველგან და ყველას წინაშე. ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა დაახასიათა ინდოეთში გამართული ვიზიტის მნიშვნელობა, ამ დიად ქვეყანასთან სსრ კავშირის ურთიერთობის არსი, რომელიც ეფუძნება უცილობელ თანასწორობას, ერთმანეთის ეროვნული დირსების პატივისცემას, ინტერესების გაგებას.

მეორე რეალობა, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა საგარეო პოლიტიკას, — ეს არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საარსებო საჭიროება. აქ დროის დაკარგვა არ შეიძლება. თუ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი შეძლებს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ შემუშავებაში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის მეტი ნაწილი ჩაითრიოს, მაშინ ვეღარავითარი მოლაპარაკება ვეღარ გვიშველის.

თანამოსაუბრეებმა გამოიჩინეს დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში ერთობლივი მოქმედების საჭიროების საერთო გაგება. „საყოველთაო უშიშროების“ ცნება და „პალმეს კომისიის“ მიერ წამოყენებული „ერთობლივი უშიშროების“ ცნება პრაქტიკულად იდენტურია.

ოგრამ რეიკიავიკის შემდეგ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, დასავლეთ ევროპა ორკოფულ პოზიციას დაადგა. უფრო მეტიც, ისის იყო, დაისახა ბირთვული განიარაღების სასიკეთო მოძრაობა, რომ მისი ზოგიერთი ლიდერი უკვე დიფრთხა. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციი კი პირდაპირ დაადგა რეიკიავიკის შედეგების ლიკვიდაციის კურსს. ამის თაობაზე არავითარ ეჭვს არ გვიტოვებს მისი მოქმედება, კერძოდ, სულ უკანასკნელი საქციელი — სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

საბჭოთა კავშირი არასდროს არ დაიხევს უკან რეიკიავიკისაგან. რეიკიავიკმა გამალებული შეიარაღების მეგზამარეობა სრულიად სხვაგვარ დონეზე დაიყვანა. და ახლა აქედან შეიძლება ვიაროთ და უხდა ვიაროთ მხოლოდ წინ. ქალბატონი ბრუნდტლანდი დაეთანხმა ასეთ შეფასებას.

მ. ს. გორბაჩოვმა აგრეთვე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებს დაკარგოს რეალიზმის გრძნობა და ჩაშალოს განიარაღება ბირთვული იარღის საკითხებზე. მაგრამ შესაძლო შეთანხმებათა სამოქმედო შემოღებას ჩვენ მხოლოდ მაშინ დავთანხმდებით, თუ გვექნა სრული რწმენა, რომ შესრულდება რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება. კერძოდ, ამას ეფუძნება ჩვენი ორმხრივი შეღავათებისა და ორმხრივი ინტერესების „პაკეტიც“. ჩვენ გვესმის, რომ დასავლეთ ევროპას სურს საშუალო სიშორის. რაკეტების ლიკვიდაცია. მაგრამ ევროპელებმა ამაში თავიანთი წვლილიც უნდა შეიტანონ. ჩვენ ერთობ სერიოზულ დათმობებს დავთანხმდით და გვაქვს ნაცვალგების მორალური და პოლიტიკური უფლება.

საუბრისას შეეხნენ საბჭოთა ბირთვული გამოცდის მორატორიუმის საკითხს, რომელსაც ვადა გაუდის. მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა მოიფიქრებს, როგორ მოიქცეს, ამასთან აღნიშნა: დასავლეთის საზოგადოებრიობა მიეჩვია იმას, რომ თხოვნით მიმართოს მხოლოდ საბჭოთა კავშირს და მოსთხოვოს მორატორიუმის განგრძობა. აი, ამერიკის შეერთებულ შტატებს კი რატომღაც ასეთი ჯიუტად არ სთხოვენ აფეთქებათა შეწყვეტას. ჰოდა, გამოდის: ყველანი საყოველთაო უშიშროების მომხრენი არიან, მაგრამ მთელი ეს ბრძოლა საბჭოთა კავშირმა აწარმოოსო შეერთებულ შტატებთან. ამ თვალსაზრისით „გარდაქმნა“ მართებს დასავლეთსაც, და მარტოოდენ საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის იმედით არ უნდა იყოს.

მ. ს. გორბაჩოვმა და გ. ჰ. ბრუნდტლანდმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი გარემოს პრობლემების შესახებ, ამ პრობლემათა ერთობლივად, ნამდვილად საერთაშორისო დონეზე გადაჭრის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვმა გ. ჰ. ბრუნდტლანდს გააცნო დასკვნები, საბჭოთა ხელმძღვანელობამ რომ გამოიტანა ჩერნობილის ავარიიდან, და გამოთქვა იმედი, რომ პოზიტიური პროცესი, რომელსაც დასაბამი მისცა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ამასწინანდელმა კონფერენციამ, თანდათან გაძლიერდება და დაგვეხმარება უზრუნველვყოთ ბირთვული ენერგიის უსაფრთხო გამოყენება.

მ. ს. გორბაჩოვმა მოკლედ დაახასიათა საბჭოთა კავშირის შინაგანი გარდაქმნები, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელობის დინამიკური საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველი და აღნიშნა ამ პოლიტიკის მნიშვნელობა აგრეთვე სხვა ქვეყნებისათვის. მას სულ უფრო მეტი „გაგებით ხვდებიან მსოფლიოში. აბა-ში იგი ერთხელ კიდევ დარწმუნდა ინდოეთში ვიზიტად ყოფნისას.

როგორც უნდა გვიშლიდნენ ხელს, რა „ვარიანტებსაც“ უნდა იგონებდნენ ჩვენი გეგმების ჩასაშლელად, ასეთი პოლიტიკის სისწორეში მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი და მას განუხრელად გავატარებთ. ამასთანავე ვერავინ ვერ შეძლებს ისარგებლოს ჩვენი სამშვიდობო დაინტერესებით და დაგვათმობინოს ჩვენი უშიშრობა.

სიტუაციის მთელი სირთულის მიუხედავად ჩვენ გარკვეული თვალსაზრისით გვიადვილდება ასეთი კურსის გატარება: ჩვენ წრფელი გულით ვმოქმედებთ, რასაც ვამბობთ, იმას ვაკეთებთ, არ ვხარჯავთ ენერგიას მოლაპარაკების მონაწილე პარტნიორის წინააღმდეგ რაღაც ხრიკების მოსაგონებლად და არ ვაპირებთ ამოვეფაროთ მოლაპარაკების კონფიდენციალურობას, იმისათვის, რომ იგი ხაფანგში შევიტყუოთ.

საუბრის დროს გამოვლინდა მნიშვნელოვანი ურთიერთგაგება განიარაღებისა და ევროპის უშიშროების ძირითად, ყველაზე აქტუალურ პრობლემებში, აგრეთვე გარემო-ბუნების დაცვის საკითხებში, რომელთა გადაწყვეტაშიც გ. ჰ. ბრუნდტლანდს დიდი, საყოველთაოდ აღიარებული პირადი წვლილი შეაქვს.

შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. გ. კოვალიოვი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე კ. ვიბე და ნორვეგიის ელჩი სსრ კავშირში უ. ბუნერ-იუპანსენი. (საკდისი).



ᲕᲐᲒᲖᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲐ

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ უცნობია ის კაცი, რომელიც პირველი გაემგზავრება თბილისის ახალი სარკინიგზო ვაგზლიდან, რომლის მშენებლობაზე მოსაპირკეთებელ სამუშაოთა სტადია დაიწყო. მაგრამ მისმა შემქმნელებმა ის კი იციან, როდის მოხდება ეს. მათი გამოანგარიშებით ეს მოვლენა დაემთხვევა ახალი წლის დამდეგს, როცა საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქალაქის ძირითადი სატრანსპორტო „კარიბჭის“ პირველი რიგი.

ჩაბარდება მთავარი კორპუსი სასტუმროთი, მის გარშემო შემოსალტული ესტაკადა, ვაგზლისპირა მოედანი მიწისქვეშა გადასასვლელებით, ორი სარკინიგზო ბაქანი. სწორედ ამ უბნებზეა დღეს თავმოყრილი მშენებლთა და მომპირკეთებელთა ძალები. მათ ასამოქმედებელ კომპლექსში 350 ათასი მანეთი უნდა აითვისონ.

თორმეტი კომპლექსური ბრიგადა, რომელთა შორის არიან კალატოზები და მებათქაშეები, მღებავები და მეპარკეტეები, დურგლები და სანტექნიკოსები აწარმოებს მოსაპირკეთებელ სამუშაოებს მშენებლობის ერთდროულად რვა უბანზე, მთავარი კორპუსის ოთხ სართულზე.

თბილისის ვაგზლის მთავარი თავისებურებაა მისი დიდი გამტარუნარიანობა. სამსართულიანი ნაგებობა რკინიგზის ლიანდაგის ზემოდან მთავარ კორპუსს დაუკავშირებს ოქტომბრის ქუჩას. ეს თავისებური ფილიალი საკუთარი საბილეთო სალაროებით, მოსაცდელი დარბაზით, შესასვლელი საკნებით 1987 წლის დამლევს ამოქმედდება, როცა დამთავრდება მშენებლობის მეორე რიგი.

ვაგზალი ქალაქის სავიზიტო ბარათია. ეს თბილისის საქალაქო აღმასკომის საგზაო მეგადა, რომელთა შორის არიან კალატოზები და მებათქაშეები, მღებავები და მეპარკეტეები, დურგლები და სანტექნიკოსები აწარმოებს მოსაპირკეთებელ სამუშაოებს მშენებლობის ერთდროულად რვა უბანზე, მთავარი კორპუსის ოთხ სართულზე.

თბილისის ვაგზლის მთავარი თავისებურებაა მისი დიდი გამტარუნარიანობა. სამსართულიანი ნაგებობა რკინიგზის ლიანდაგის ზემოდან მთავარ კორპუსს დაუკავშირებს ოქტომბრის ქუჩას. ეს თავისებური ფილიალი საკუთარი საბილეთო სალაროებით, მოსაცდელი დარბაზით, შესასვლელი საკნებით 1987 წლის დამლევს ამოქმედდება, როცა დამთავრდება მშენებლობის მეორე რიგი.

ვაგზალი ქალაქის სავიზიტო ბარათია. ეს თბილისის საქალაქო აღმასკომის საგზაო მეურნეობა [illegible] საგზაურისტემოტა [illegible] ლო სამმართველოს მუშაკებსაც [illegible] ბინა [illegible] ბერ [illegible] ბოლოს [illegible] ბინა მოედანს, რომლის ქვეშ განლაგდება მიწისქვეშა გადასასვლელი სავაგონო რიგებით. გადასასვლელს „ინუმშენის“ ტრესტის სპეციალისტები აშენებენ.



სურათებზე: საუკეთესო მებათქაშე ჯ. ქირია; თბილისის მშენებარე რკინიგზის ვაგზალი; საკვირო „სპეციტერმშენის“ მოსკოვის უბნის გამოცდილი მშენებლები ვ. ვალიევი, ვ. პარიუშინი და ბრიგადირი ვ. სმირნოვი ვაგზლის მშენებლობაზე არიან დასაქმებული; ახალი ვაგზლის ერთ-ერთი დარბაზი.

ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

5 **დეკემბერს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა მიიღო ფინეთის ცენტრის პარტიის თავმჯდომარე პ. ვიიიურიუნენი, რომელიც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ცენტრის პარტიის დელეგაციას.

მეგობრულ ვითარებაში საუბრის დროს განიხილეს საერთაშორისო ვითარების, საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ცენტრის პარტიის კონტაქტების განვითარების აქტუალური საკითხები.

ი. კ. ლიგაჩოვმა გააშუქა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიცია თანამედროვე საერთაშორისო პრობლემებზე; ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა მოგვარდეს სახელმწიფოებისა და ხალხების, პოლიტიკური პარტიების, მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსტრუქციული თანამშრომლობა, რათა თავიდან აცილოთ ბირთვული და კოსმოსური საფრთხე, უზრუნველვყოთ კაცობრიობის მომავალი.

აღინიშნა სსრ კავშირისა და ფინეთს შორის არსებული ნდობის, ურთიერთობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის მაღალი დონე და მნიშვნელობა ფინეთის ცენტრის პარტიასთან და სხვა პოლიტიკურ პარტიებთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კონტაქტებისა და ურთიერთობის განვითარებისათვის, ორი ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანამშრომლობისათვის.

სსრ კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლობა, განაცხადა ი. კ. ლიგაჩოვმა, იმის მაგალითია, თუ რას ნიშნავს პრაქტიკულად სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

პ. ვიიიურიუნენმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ღონისძიებებს მშვიდობისათვის, შეიარაღების, ომებისა და ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში და აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თვალსაზრისით უბირთვო და უძალადო მსოფლიოს კონცეფციას, რომელიც წამოაყენეს ინდოეთმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის დროს. მან განაცხადა, რომ ცენტრის პარტია, რომელიც მტკიცედ აღგას თავისი მრავალი წლის ლიდერის, ფინეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ურჰო კეკონენის გეზს, კვლავაც აქტიურად იმოქმედებს მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების ინტერესებისათვის.

პარტია, ხაზგასმით აღნიშნა მან, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საბჭოთა კავშირთან ნდობისა და მეგობრული, ურთიერთობის განმტკიცებას, რომელიც ფინეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის საფუძველია.

გამოითქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობა კვლავაც წარმატებით განვითარდება ყველა დარგში იმ კურსის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, აგრეთვე აღინიშნა, საჭიროა ყოველნაირად ეფურთხილდებოდეთ საბჭოთა კავშირ-ფინეთის კეთილმეზობლობას, საკადრის პასუხს ვცემდეთ მისი შესუსტების ყოველგვარ ცდას.

საუბარში მონაწილეობდნენ ფინეთის ცენტრის პარტიის გენერალური მდივანი ს. კიაარიაინენი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ს. შაპოშნიკოვი. (საკდისი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ᲐᲛ რამდენიმე დღის წინათ შეერთებულმა შტატებმა დამატებით შეიყვანა საბრძოლო შემადგენლობაში დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტების დასაყენებლად განკუთვნილი 131-ე მძიმე ბომბდამშენი. ამასთან კომპენსაციის წესით არ მოუხდენია ბირთვული იარაღის რაიმე ტოლფასი მატარებლის დემონტაჟი. ასეთი ნაბიჯის შედეგად მან გადაამტა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კრებსითს ლიმიტს, რომელიც ინდივიდუალური დამიზნების კასეტურქობინიანი بالისტიკური რაკეტების გასაშვები დანადგარებისა და ფროთოსანი რაკეტებით აღჭურვილი მძიმე ბომბდამშენებისათვის 1320 ერთეულის ოდენობით არის დადგენილი. ამერიკის შეერთებული შტატები არ მალავს, რომ ეს ნიშნავს სრულ უარის თქმას მე-2 ხელშეკრულებაზე, რომელიც როგორც ამერიკის ადმინისტრაცია აცხადებს, „უკან დარჩა“. ამიგად, უკვე პრაქტიკული მოქმედებით განამტკიცეს განცხადება, რომელიც მიმდინარე წლის მაისში გააკეთა პრეზიდენტმა რეიგანმა იმის თაობაზე, რომ განზრახული აქვს უარი თქვას 1972 წლის დროებით შეთანხმებასა და 1979 წლის მე-2 ხელშეკრულებაზე, განცხადება, რომელსაც შეშფოთებითა და გულისწყრომით შეხვდა მთელი მსოფლიო.

ფეხქვეშ გაითელა ხელშეკრულება, რომელიც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო პარიტეტს ამკვიდრებდა და წლების მანძილზე ზღუდავდა გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას. მისი ცენტრალური მიმართულებით—სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების დარგში. ეს შეთანხმება იმით იყო ფასეული და სასარგებლო, რომ შეიცავდა დებულებებს, რომლებთაც ორივე მხარეს ევალებოდა დაეცვა სტრატეგიულ-ბირთვულ საშუალებათა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი შეზღუდვები. მე-2 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ ხელშეკრულებათა მოდერნიზაციის შესაძლებლობათა მნიშვნელოვან შეზღუდვას. გარდა ამისა, იგი შესაბამის „ჭერს“ უწესებდა ძირითადი ჯგუფების სტრატეგიულ სისტემებს. ამ დებულებათა დაცვა, რომლებიც ეფუძნებოდა მხარეების მიერ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპის ცნობას, უზრუნველყოფდა სტრატეგიულ სტაბილურობას და წარმოადგენდა ამოსავალ წერტილს ბირთვული იარაღის შემცირება-ლიკვიდაციის გზების საძიებლად.

გადაწყვეტილება — გაზარდონ თავიანთი საშუალებების არსენალი, გაბათილონ მე-2 ხელშეკრულება, აშკარად გამოხატავს ვაშინგტონის მისწრაფებას მოშალოს სამხედრო პარიტეტი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მოიპოვოს სამხედრო უპირატესობა. ეს მოქმედება ასევე სერიოზულ შედეგებს უქადის საერთაშორისო უშიშროებას.

გადადგა რა ასეთი ნაბიჯი, შეერთებულმა შტატებმა გზა გაუხსნა შეუზღუდავ გამალებულ სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას, რომელიც გარდაუვალად გაამწვავებს საშიშ მეტოქეობას სამხედრო დარგში. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების რაოდენობრივი ზრდისა და თვისებრივი სრულყოფის შეთანხმებულ შეზღუდვათა დაცვაზე უარის თქმამ შიძლეთა ისეთი სიტუაცია წარმოშვას, რომლის შედეგის განჭვრეტაც ძნელია.

ახლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბოლოოდ ჩასცა ლაზარი მე-2 ხელშეკრულებას, მაგრამ იგი კარგა ხანია ძირს უთხრიდა მას. თეთრ სახლში დადგომის პირველ დღეებშივე რეიგანის ადმინისტრაციამ ჯვარი დაუსვა ამ შეთანხმების რატიფიკაციას. ამავე დროს იგი მიმართავდა მოქმედებას, რომელიც აშკარად არღვევდა მე-2 ხელშეკრულებას, მაგალითად, უგულებელყოფდა რა ამ ხელშეკრულების ოქმით გათვალისწინებულ სპეციალურ შეზღუდვებს, ამერიკის შეერთებული შტატები შეუდგა დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტების მასობრივ განლაგებას. ვაშინგტონმა აშკარად აუარა გვერდი ხელშეკრულებას, როდესაც განახორციელა დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება და ამით დამატებით გაზარდა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პოტენციალი.

პარალელურად სრული სვლით ხორციელდებოდა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ყოველმხრივი მოდერნიზაციისა და გაძლიერების უპრეცედენტო მასშტაბის პროგრამა — იქმნებოდა „მეკს“ და „მიჯითმენ“ ახალი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, „ბ-1 ბ“ და „სთელს“ სტრატეგიული ბომბდამშენები, „ტრაიდენტ-1“ და „ტრაიდენტ-2“ რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები.

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ დასვენების დღე კვირა — 1987 წლის 4 იანვარი გადმოტანილ იქნეს პარასკევს — 2 იანვარს.

საშუალო ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ

5 **დეკემბერს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი კრემლში შეხვდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს გ. ჰარლემ ბრუნდტლანდს, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა როგორც გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე ამ კომისიის VII სესიაზე.

საუბრისას გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება საერთაშორისო ვითარებისა და საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა ასპექტის გამო.

ნ. ი. რიჟკოვმა ვრცლად გააშუქა სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ საბჭოთა კავშირში მიმდინარე შინაგანი განვითარების პროცესები, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარის გარდაქმნა, ადამიანის ფაქტორის ორმხრივი ზეგავლენა ამ ცვლილებებზე. ეს ეხება ეკონომიკასაც, ეროვნულ საკითხებსაც, ინტერნაციონალიზმის ფორმირებასაც, ადამიანთა ურთიერთობებსაც, ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ღირსების, ეროვნული ენების, ეროვნული კულტურების, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფსიქოლოგიის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკოლოგიის, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების

უმაღლესი სკოლის პოტენციალი — დაჩქარების სამსახურში

(დასასრული)

ტარული ყოფითი პირობები, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლები, ბინის მიღების პერსპექტივა. ბოლო ხანს ბევრი ეპარაკია ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების შექმნაზე. მაგრამ არც ერთ დიდ ქარხანას არც კი წამოუყენებია ეს საკითხი, არ მიუმართავს შესაბამისი ინსტანციებისათვის წინადადებით, რომ მიიღონ მონაწილეობა ამ საინტერესო წამოწყებაში.

თითქოსდა უმაღლესი სკოლისა და წარმოების ინტერესების უკეთეს შეხამებას უნდა უწყობდეს ხელს დაუსწრებელი და საღამოს სწავლება, ვინაიდან ისინი კადრებს უშუალოდ საწარმოებში თანამიმდევრული ზრდის პირობებს უქმნიან. მაგრამ არსებული სახით ეს ფორმა მხოლოდ ამძიმერებს პრობლემებს. სპეციალისტა ხშირად არ შეესაბამება მუშაობის პროფილს.

მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ ფორმალიზმის გამოვლინებებს, სამუშაოზე სპეციალისტთა განაწილებისა და მიღების არსებული ნორმებისაგან ყოველგვარ გადახრას. მაგალითად, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმით გათვალისწინებული ადგილების გამოყოფა და მიუხედავად ამისა წარმოადგინეს 62 ინდივიდუალური განაცხადი, სახადარმოწყვა — 61. და ასეთი ფაქტები ერთეული როდია. რა სოციალურ სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ინდივიდუალური განაცხადით ნაწილებენ რესტორნის დირექტორის სამოსან შვილს? ანდა. ყოველად აღმოფთიერი შემთხვევა: გეოლოგიის ინსტიტუტიდან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს წარუდგინეს სახელობითი მოთხოვნა ვინმე ტაბუცაძეზე, წისქვილ-კომბინატის საწყობის გამგის ვაჟზე, რომელიც საერთოდ გარიცხული იყო ინსტიტუტიდან აკადემიური ჩამორჩენილობისთვის. სწორედ ასეთი მომენტებით იწყება ხშირად პიროვნების გადაგვარების პროცესი.

სერიოზული ნაკლოვანებებია სპეციალისტების გამოყენებაში. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, რესპუბლიკაში უმაღლეს სასწავლებელთა 7,5 ათასზე მეტი კურსდამთავრებული მუშაობს თანამდებობებზე, რომლებსაც არ სჭირდება უმაღლესი განათლება, ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ მუშად მათ ნახევარზე ნაკლები შრომობს. ბევრმა კი, ვინც ასცდა განაწილებას ან შეგნებულად აარიდა მას თავი, რომ იტყვიან, თბილი ადგილი გამონახა. ამის მაგალითი კრებაზე ბლომად მოიყვანეს.

ამგვარი გადახრებიც სუსტი კონტროლის, იმის შედეგია, რომ სპეციალისტების განაწილებასა და გამოყენებას ზერელედ ეკიდებიან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რესუბლიკური სამინისტროები და უწყებები, შრომის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც ამ მიმართულებით საქმიანობისას ეპიზოდურ შემოწმებებს დასჯერდა.

ამ საქმეში ახალი, არასტანდარტული გადაწყვეტილებების გარეშე ფონს ვერ გავალთ. მაგალითად, სპეციალისტების მომზადებისა და რაციონალური გამოყენებისათვის საწარმოების, ორგანიზაციებისა და თვით უმაღლეს სასწავლებლების პასუხისმგებლობის გაძლიერებას ხელს უწყობს კადრების მიზნობრივი მომზადება ხელშეკრულებების საზაზე. ეს ფორმა მოქცეულია უშუალოდ უმაღლესი სკოლის გარდაქმნის კალაპოტში, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს განათლების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია.

გარკვეული გამოცდილებაა შეძენილი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არსებობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ცალკეული ერთობლივი გადაწყვეტილებები. მაგრამ დღეს დგას საკითხი, რათა შეიქმნას სახალხო მეურნეობის დარგებთან უმაღლესი სკოლის ხელშეკრულებითი ურთიერთობის ერთიანი სისტემა, რომელიც უფრო სრულად შეესატყვისება თანამედროვე სამეურნეო მექანიზმის ბუნებას.

განა სამართლიანია, კითხულობდნენ კრების მონაწილენი, რომ რესპუბლიკის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არის გაერთიანებები „ენერი“, „ქიმბოჭკო“, „ჩარხმშენებელი“ და სხვები, რომლებიც უამრავ სპეციალისტს იღებენ, პრაქტიკულად ჩამოშორდნენ სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის განვითარებას, არ აწყარებენ მათთან სათანადო კონტაქტს. ეს ხომ არ არის პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაციის ერთ-ერთი მიზეზი? დროა განვსაზღვროთ ზუსტი ორგანიზაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები, მწარეთა ურთიერთვალდებულებები, რათა უკეთ შევუხამოთ ერთმანეთს კადრების მომზმარებლისა და თვით უმაღლესი სასწავლებლების ინტერესები.

რესუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უფრო კვალიფიციურად და დაინტერესებით უნდა იმუშაონ ამ საკითხებზე, სრულყონ საინვესტიციო პოლიტიკა დარგში. ვინ არ იცის, რომ მრავალი მიმართულებით კადრების მომზადება ჩვენში წარმოებს ისეთი ოდენობით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მათზე მოთხოვნას. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება პედაგოგიურ და მთელ რიგ ჰუმანიტარულ სპეციალობებს — არქიტექტურას, სამართალმცოდნეობას, გეოლოგიას, ისტორიას, ფსიქოლოგიას, მათემატიკას, ფიზიკას, ბიოლოგიას, ეკონომიკურ კიბერნეტიკას, გეოგრაფიასა და სხვებს. მაგალითად, განვლილ ხუთწლედში პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნახევარს მისცეს სამუშაო სპეციალობის მიხედვით, ხუთი ათასზე მეტი ახალგაზრდა პედაგოგი კი გაუნაწილებელი დარჩა. და თუ თვალს ავარიდებთ ამგვარ ტენდენციებს, ჩვენ მხოლოდ გავართულებთ მათ, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. დღეს საქმე უნდა ეხებოდეს არა რაოდენობას, არამედ, ხარისხს, მომზადების სტრუქტურას. ყოველ 1000 დასაქმებულ მოსახლეზე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რიცხვით ჩვენმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად გაუსწრო საშუალო-საკავშირო დონეს. დანახარჯები კი ყოველ სტუდენტზე ჩვენში გაცილებით მცირეა, კადრების მომზადების დონე აშკარად საკმარისი არ არის.

არ ველოდოთ მითითებებს, გამოვიჩინოთ ინიციატივა

რესპუბლიკაში სპეციალისტთა მომზადების ხარისხს ვერ გავუმჯობესებთ, თუ სათანადოდ არ დავხვეწეთ განათლების ბაზა, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

სწავლების არსებულ სისტემაში ძლიერ არის ფეხმოკიდებული ფორმალიზმის ელემენტები. მეტად ნელა ინერგება სწავლების თანამედროვე ფორმები და მეთოდები, ვერ ვიყენებთ ქვეყნის მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილებას სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციის საქმეში, ბევრმა მასწავლებელმა დაკარგა ინტერესი პედაგოგიური შემოქმედებისადმი. დოგმატიზმი ვლინდება სასემინარო მეცადინეობის მოწყობაშიც, საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაშიც. უნდა ვიღვაწოთ იმისათვის, რომ მომავალ სპეციალისტთა სწავლა-განათლებისა და აღზრდის მეთოდიკა უკეთ ესატყვისებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანებს, სისტემატურად ეაანალიზებდეთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მდგომარეობას უმაღლეს სასწავლებლება და ტექნიკუმებში, უზრუნველყოთ სტუდენტთა და მოსწავლეთა ობიექტური შეფასების კრიტერიუმები, ჩამოვაყალიბოთ მოთხოვნები უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სკოლის თანამედროვე მასწავლებლისადმი.

სერიოზული ხარვეზებია სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების განაწილებაში. თუმცა მეცნიერებათა დოქტორების რიცხვი სოლიდურია, მაგრამ მათგან მხოლოდ ნახევარი თუ მეთაურობს უმაღლესი სასწავლებლების ყველა კათედრას. დოქტორის ხარისხის მქონე ყოველი მეორე მასწავლებელი 60 წელზე მეტი ხნისაა. მეცნიერების კანდიდატთა და დოცენტთა მხოლოდ 4,2 პროცენტია 35 წლამდე ასაკის.

დაძლეული არ არის უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებელთა კადრების დეფიციტი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ, პერსპექტიულ დარგებში. უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებმა, პარტიულმა კომიტეტებმა უნდა განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა პროფესორ-მასწავლებლების თანამედგომობას იკავებდნენ ახალგაზრდა კადრები, დასახონ პერსპექტიულ თანამშრომელთა შემოქმედებითი ზრდის პერსონალური პროგრამები.

სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში ნაკლოვანებანი გაგვეჭნა ახლებს აკადემიური წარმატების დონეზე. „ფრიადზე“ სწავლობს სტუდენტთა და მოსწავლეთა საერთო რიცხვის დაახლოებით 12 პროცენტი. მათგან მხოლოდ ყოველმა მეხუთემ მიიღო უმაღლესი ქულა სადიპლომო ნამუშევრის დაცვის დროს ან სახელმწიფო გამოცდებზე. აღინიშნება კადრების მომზადების საერთო დონის დაქვეითება, მაგალითად, ეკონომიკური სპეციალობების მიხედვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის კოლექტივსა და მის ახალ ხელმძღვანელობას ჯერჯერობით ბოლომდე თავიდან ვერ აუცილებია წვრილმანი ყოველდღიური საქმეები, მთელი ყურადღება არ მიუპყრია პერსპექტიული საკითხებზე.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადება. სასოფლო-სამეურნეო პროფილის ინსტიტუტების მთელ რიგ კურსდამთავრებულებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სამეურნეო ანგარიშის, ინტენსიური ტექნოლოგიების, ესე იგი იმის შესახებ, რაც დღეს განსაზღვრავს აგრარულ-სამრეწველო წარმოების დონეს.

საამრისი ეკონომიკური, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური მომზადება არა აქვთ ტექნიკური პროფილის სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს. სადიპლომო პროექტების მხოლოდ 12 პროცენტს აძლევენ რეკომენდაციას სახელმწიფო საგამოცდო კომისიები დასანერგად, დანერგვით კი ერთეულები თუ ინერგება.

პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო დაწესებულებებსა და წარმოებას შორის კადრების აქტიურ გაცვლას. უფრო ხშირად უნდა ვიწვევდეთ სამასწავლებლო სამუშაოზე გამოჩენილ მეცნიერებსა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს. ჯერჯერობით ეს ერთეულ შემთხვევებში ხდება, თვით ფორმა კი ხშირად გამოყენებულია უმაღლეს სასწავლებლებში შეთავსებისათვის, არ არის არც შეხვედრი ნაკადი. ისეთ წამყვან ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლშიც კი, როგორიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტია, არც ერთ მასწავლებელს მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში სტაჟირება არ გაუვლია მოწინავე საწარმოებში. ნუთუ ინსტიტუტის რექტორატს არ შეუძლია დამუშავდებლად გადაწყვიტოს ამგვარი საკითხები?

მეტ ენერგიულობას, დაინტერესებას უნდა ვიჩენდეთ, თქვეს ორატორებმა. იმავე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აკლიათ 40 სამეცნიერო ლაბორატორია, ჩამორჩება მათი აღჭურვა, ცოტაა თანამედროვე ტექნიკა, რობოტი და ა. შ; რაღა უნდა ითქვას სხვა სასწავლებლებზე? სწავლების პროცესში პრაქტიკულად არ იყენებენ თანამედროვე ვიდეოტექნიკას, პერსონალურ კომპიუტერებსა და მიკროელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს. საკმარისი არ არის ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა. გამოთვლითი კომპლექსებისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების არსებული პარკი შეადგენს საჭირო მანქანური დროის მხოლოდ 20 პროცენტს. ამის მიუხედავად, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახმომარაგებამ 1986-1990 წლების გეგმაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გამოთვლითი ტექნიკით დაკმაყოფილება მხოლოდ 11 პროცენტით გაითვალისწინეს. ცხადია, უნდა ვეძებოთ არსებული, ზოგჯერ უნიკალური მოწყობილობის ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობანი, გავაფართოოთ ამ მოწყობილობით კოლექტიური სარგებლობა, უფრო მჭიდროდ დავუკავშირთ ნისი დატვირთვა მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებას.

სასწავლო პროცესი უმაღლეს სასწავლებელში მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებასთან. ჯერჯერობით ნაწილი ჩაპმულია მხოლოდ ყოველი ეხუთე მომავალი სპეციალისტი, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების გამოკვლევათა მოცულობა კი წელიწადში 20 მილიონ მანეთს არ აღემატება. სამეურნეო სახელშეკრულები თემების ნახევარზე მეტი, როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებაში, დაკავშირებული არ არის უპირველესი ამოცანების რეალიზაციასთან, საერთო საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შესრულებასთან.

დროა გავაძლიეროთ კონტროლი კვლევის აქტუალურობისადმი. თეორიული დონის, გამოყენებითი მნიშვნელობისადმი, - პრაქტიკული უფრო ფართოდ დავნერგოთ მათი მიღება დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით. საიდუმლო როდია, რომ მასწავლებელთა ნაწილისათვის სამეურნეო თემები დამატებითი შემოსავლის ნიღების ფორმა, ერთგვარი ქერის ორმო გახდა. მარტო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მონაცემებით, 1984-86 წლებში სამეურნეო სახელშეკრულებო თემების შესრულების ვადების დარღვევისა და შეწყვეტის გამო განიადა 75 ათასი მანეთი, ზმირად ეჭვს იწვევს კვლევის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება.

თითქოს, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ხელს უნდა უწყობდეს დაჩქარებულ მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, კაპიტალურ დაბანდებათა სრულ ათვისებას. ამავე დროს გასულ ხუთწლედში ეს მაჩვენებელი საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით მხოლოდ 79 პროცენტით შესრულდა. მიმდინარე წლის ცხრა თვეში ჯერჯერობით ათვისებულია კაპიტალდაბანდებათა წლიური მოცულობის ნახევარზე ოდნავ მეტი. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ 1971 წლიდან შენდება თბილისის უნივერსიტეტის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა, დღემდე მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტსა და „საქმონტაჟსპეცმშენს“ არ აღმოუფხვრიათ ხარვეზები, რომელზეც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის კომისიამ მიუთითა.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო-სალაბორატორიო კორპუსისა და საერთო საცხოვრებლის მაღლივი კორპუსების მშენებლობაზეც. ეს ობიექტები საეკსპლოატაციოდ მიიღეს დიდი ხარვეზებით. ჩაშლის საფრთხე შეექმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის მესამე რიგისა და საცდელ-საწარმოო ბაზის საექსპლოატაციოდ გადაცემას. იმას, რომ გამოყოფილ სახსრებს სისტემატიურად ბოლომდე ვერ ვითვისებთ, ის მოჰყვა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მთელი რიგი გარდამავალი ობიექტების ყოსნერვაციის შესახებ.

და ეს იმ დროს, როცა ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება, როცა მაგალითად, ადგილობრივი საერთო საცხოვრებელში უზრუნველყოფილია იმ სტუდენტთა და მოსწავლეთა მხოლოდ ნახევარი, რომლებსაც იგი სჭირდებათ. საერთო საცხოვრებლები განსაკუთრებით მწვავედ აკლიათ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სამხრეთ ოსეთისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებს, კულტურის სამინისტროს სისტემის უმაღლეს სასწავლებლებს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში მდებარე მთელ რიგ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს.

არ უნდა ველოდოთ მითითებებს ზემოდან, დროა ვიჩენდეთ საკუთარ ინიციატივას, ვამოქმედებდეთ შინაგან რეზერვებს, ამ საქმეში ვაბამდეთ მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, განსაკუთრებით აღინიშნეს ორატორებმა. ძირეულად უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება უმაღლესი სასწავლებლების შშენებლობებისადმი. ისინი უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო იბიექტების ტოლფასად, დავუქვემდებაროთ პარტიულ კონტროლს.

ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია, რაკი მუშახელის დეფიციტს განიცდის, ყოველგვარ ხრიკსა და დარღვევას მიმართავს. ამავე დროს მშენებლობა ახალგაზრდობისათვის შესანიშნავი სკოლაა, რასაც ადასტურებს ფიზიკულტურის ინსტიტუტის გამოცდილება, რომლის სტუდენტები წარმატებით შრომობენ დაკისუფალ დროს სპორტული ინვენტარის ფაბრიკის მშენებლობაზე. ეს თაოსნობა უნდა გავრცელდეს სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებზეც, განსაკუთრებით საკუთარი ობიექტების მშენებლობის ნაწილში.

აღვზარდოთ ღირსეული მოქალაქენი, კვალიფიციური სპეციალისტები

მუშაობის გარდაქმნა მოითხოვს გონების გარდაქმნას. დღეს ყველაზე მეტად საჭიროა მოაზროვნე, შემოქმედებითი ადამიანები, ნამდვილი ნოვატორები, რომლებსაც უნარი შესწევთ რევოლუციურად შეხედონ ბევრ ტექნიკურ და ზნეობრივ პრობლემას.

სწორედ ასეთი ადამიანები უნდა აღზარდოს თანამედროვე უმაღლესმა სასწავლებელმა. უმაღლესი სასწავლებლისა თუ ტექნიკუმის კურსდამთავრებული უნდა იყოს აქტიური პოლიტიკური შეხედულებების მატარებელი. ჰქონდეს დიდი პოლიტიკური კულტურა, იყოს პარტიის საიმედო რეზერვი. შემთხვევითი როდია, რომ სპეციალისტთა მომზადების სრულყოფაში ახლა უპირველესი ადგილი განეკუთვნება საზოგადოებრივ მეცნიერებებს, იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდას.

სამწუხაროდ, რამდენადმე არსებითი გარდაქმნა საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებაში ჩვენში, ჯერჯერობით არ იგრძნობა, აღინიშნეს კრების მონაწილეებმა. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ბევრ კურსდამთავრებულს არა აქვს საჭირო პოლიტიკური და ზნეობრივი წრთობა. უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებათმცოდნენი, ძირითადად, განაგრძობენ ძველებურად მუშაობას. ბევრი ლექცია მოწყვეტილია ცხოვრების რეალობას, ძიებებსა და ბრძოლას, სასემინარო მეცადინეობები იმართება დუნედ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებათა შემოქმედებითი გაანრების, კამათისა და დისკუსიების გარეშე.

ესე იგი იქმნება სწორედ ის პარადოქსული სურათი, რომელიც საკავშირო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში დაასახელა მ. ს. გორბაჩოვმა, როცა თანამედროვე მეცნიერულ შემეცნებაში ყველაზე საინტერესო და წარმტაცი — ადამიანი და საზოგადოება, მათი განვითარების კანონები, წინააღმდეგობანი, კლასების ბრძოლა, ახალი საყაარის მშენებლობა, იდეალისადმი კაცობრიობის სწრაფვა, სულიერი ძიებანი და იმედგაცრუება, ეუმჯობესების პოვნა და შრომითი აღმშენებლობის გმირობა ხშირად ლექციებში და, კაცმა რომ თქვას, სახელმძღვანელოებშიც იქცევა რაღაც მოსაწყენ, უსულგულო, ფორმალურ ამბად. ჩვენი ცხოვრების გარდაქმნის, მისი განახლების დროს ხომ მიმდინარეობს, როგორც ნათქვამი იყო, იდეების, ფსიქოლოგიური განწყობის, აზროვნებისა და ქცევის სტილის მწვავე, უკომპრომისო ბრძოლა, რომელიც ყოველთვის აშკარა როდია. და სწორედ მთავარ იმედს პარტია ამყარებს ახალგაზრდობაზე, ეყრდნობა მისი აზრის სიახლესა და არაორდინარობას, შეხედულებათა რეგოლუციურობას, მისი აზროვნების მობილურობასა და დინამიზმს.

ამ ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოებათმცოდნეთა კადრებზე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობა ხომ უნდა გახდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნის თავისებური იდეოლოგიური უზრუნველყოფა. ამიტომ რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა გაიაზროს მათი საკადრო შემადგენლობისა და საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი.

სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგი გახდა სტუდენტთა შორის მუშტრული ფსიქოლოგიის, ჩვენი მორალისათვის უცხო ჩვეულებების, დისციპლინისა და სოციალური კანონების დარღვევის გამოვლინებები. მატულობს არასპატიო მიზეზით გაცდენილ მეცადინეობათა რიცხვი. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისეთი სოციალურად საშიში მოვლენების გავრცელება, როგორიც არის ლოთობა და ნარკომანია. სტუდენტთა შორის ნელა იძირკვება ამორალური ქცევის, ხულიგნობისა და სხვა სამართალდარღვევათა შემთხვევები, რომელთა რიცხვი მთელი რიგი წლების მანძილზე პრაქტიკულად არ მცირდება. უნდა განხორციელდეს ამ უკეთური ტენდენციების აღმოფხვრის უმარტივესი ღონისძიებანი.

დროა დადასტურდეს დამოკიდებულება ახალგაზრდობის ღირებულებრივი ორიენტაციებისადმი, მისი მსოფლშეგრძნობისა და მოთხოვნილებების ჩამოყალიბებისადმი. როგორია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებისეული პოზიცია? როგორ აპირებს იგი ემსახუროს საზოგადოებას? როგორია მისი მსოფლშეგრძნება, ზნეობრივი პოზიცია? ეს საკითხები სრულიად არ არის მეორეხარისხოვანი, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. სახელმწიფო დღეს ახალგაზრდობას უდიდეს სოციალურ შესაძლებლობებსა და სიკეთეს აძლევს. და ასეთი ზრუნვა მოითხოვს შესაბამის უკუგებას, იგი უნდა ანაზღაურდეს შრომით, გონების, სულისა და გულის ენერგიით.

ადამიანს, რა თქმა უნდა, დოვლათიც სჭირდება და კომფორტიც. საქმე ეხება იმას, რომ უნდა შეგვძლოს საზოგადოების შესაძლებლობანი შევუფარდოთ პირად მოთხოვნილებებს, რომ გარეგნული პრესტიჟი არ ჩრდილავდეს ფუძემდებელ ზნეობრივ კატეგორიებს, რომ მოთხოვნილებანი არ იძენდეს ჰიპერტროფირებულ ხასიათს. განა სამართლიანია, სოციალური თვალსაზრისით, როცა ჭაბუკი სტუდენტი მართავს საკუთარ ავტომობილს, თუ მას ჯერ არაფერი გაუკეთებია ცხოვრებაში და თავისი შრომის წილი არ შეუტანია საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში, მაგრამ იოლად და უზრუნველად სარგებლობს სრულად ყოველივე ამით?

გარკვეული ფენის სასაუბრო ენაში ზოგიერთი ცნებაც კი აღრეულია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფულს უკვე კი არ „გამოიმუშავებენ“, არამედ „შოულობენ“, ინსტიტუტში კი არ „შედიან“, არამედ „ეწყობიან“. თუმცა, სხვანაირად ვერც იტყვი იმ ახალგაზრდებზე, რომლებმაც ადგილად ჩაანაბარეს მისაღები გამოცდები რესპუბლიკის ფაბრგლებს გარეთ უმაღლეს სასწავლებლებში, ისე, რომ რუსული ენა არ იცოდნენ. მაგალითად, ხობის რაიონის. მარტო პატარა სოფელ ხეთიდან კალინინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ათობით კაცი შევიდა. როგორც გამოირკვა, ყოველივე ამის მიღმა სერიოზული დარღვევებია. რა სპეციალისტი, რა მოკვალეკი გაიზრდება ასეთი სტუდენტისაგან?

გაურკვეველი აქიოტაჟი წარმოიშობა ზოგიერთი სპეციალობის გამო. უზარმაზარი კონკურსია სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთ სხვა ფაკულტეტზე, მაშინ როდესაც სპეციალისტებზე მოთხოვნის სტრუქტურა სრულიად სხვაგვარია. ეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არასაკმარისი პროფესიორიენტაციო მუშაობის შედეგიცაა. და განა შემაშფოთებელი არ არის ისიც, რომ განაწილების ადგილას არ მიდიან ახალგაზრდა აგრონომები, მექანიზატორები? ამავე დროს, უკანასკნელი წლების მანძილზე არც ერთი ამგვარი შემთხვევა არ ჰქონიათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს ისეთი სპეციალობებით, როგორიც არის „მეღვინეობის ტექნოლოგია“, „დაკონსერვების ტექნოლოგია“.

ყოველივე ამის მიღმა ხშირად დგას კერძომესაკუთრული გამოვლინებანი, ახალგაზრდების არასწორი ოჯახური აღზრდა, პოლიტიკური და ზნეობრივი უმწიფარობა ახალგაზრდა ადამიანებისა, რომლებიც ხშირად შემვლელითი გზით მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. აი, რატომ არის, რომ განუზომლად იზრდება პარტიულ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა უმაღლესი სკოლის გარდაქმნაში.

უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ მასწავლებლებისადმი მომთხოვნელობის გადიდებას, თავიდან მოვიშოროთ ისინი, ვისაც არ ძალუძს ჯეროვან დონეზე განახორციელოს ახალგაზრდობის სწავლება და აღზრდა, ვისი მორალური სახე და რეპუტაციაც საეჭვო გახდა. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მორალური უფლება ჭკუა ასწავლოს თავის აღსაზრდელებს, იმსჯელოს მათთან მაღალ ზნეობრივ კატეგორიებზე. ახალგაზრდობის სუფთა გული არ უნდა ვანდოთ იმათ, ვისაც შეუძლია მათ ჩაიწვეთოს ორაზროვნების, სიცრუისა და თვალთმაქცობის შხამი. განა შეუწყნარებელი არ არის: წელი ისე არ გავა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცენ მექრთამეობისათვის უმაღლესი სკოლის მუშაკი? როგორ ავუაროთ გვერდი აღმშფოთებელ ფაქტებს, როცა ზოგიერთი მუშაკი აშკარად მიმართავს ფულის შეწერას. დანაშაულებრივი მიზნით კონტაქტსაც კი ამყარებს ქურდებთან, საქმოსნებთან და თაღლითებთან, როგორც ეს მოხდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ერთ-ერთი აბიტურიენტის შესვლისას. ამ საქმის გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ უკვე აშკარაა დანაშაულის მოტივი, მის მონაწილეთა ზნე.

ერთი მათგანი — ვინმე ჩხეიძე თავის დროზე იოლად გადმოვიდა ქუთაისიდან თბილისში, მიიღო ბინა და მაშინვე აირჩიეს სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტად, უმაღლესი სასწავლებლის პარტკომის მდივნის მოადგილედ, სხვათა შორის, იგი პარტკომის წევრი იყო დანაშაულის ჩადენის მომენტშიც.

ასეთი გაუგებარი დაწინაურება აქ გამონაკლისი როდია. თვით პარტკომის მდივანი სეხნიაშვილი თავის დროზე სასწრაფოდ მიიღეს პარტიაში, გადმოიყვანეს სამუშაოდ სამედიცინო ინსტიტუტში, აირჩიეს დეკანის მოადგილედ, შემდეგ კი პარტიული კომიტეტის მდივნად. სიტყვამ მოიტანა, და, ამ თანამდებობის იგი უთავსებდა მეორეს, სრულიად ჩამოშორდა პარტიულ მუშაობას. ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენდნენ ამ საკითხებში არც პარტიის საბუთარაოს რაიკომი, რაიკომის პირველი მდივანი ი. ი. ხუციშვილი, რომლის მუშაობის სტილს საერთოდ ახასიათებს ზერელობისა და აჩქარების გამოვლინებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ რამდენიმე დღის წინ მოისმინა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის ანგარიში, სათანადო შეფასება მისცა მის მუშაობას, პარტიის რაიკომის, რექტორატის საქმიანობას და გაათავისუფლა სეხნიაშვილი თანამდებობიდან. ამასთან გადასცა მისი პრატიული პასუხისმგებლობის საკითხი პირველად პარტორგანიზაციას განსახილველად.

ყველასა და თითოეულის საფრუნავი

დისციპლინის განმტკიცება უმაღლეს სკოლაში განუყოფელად არის დაკავშირებული ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგის დამყარებასთან, აღნიშნეს ორატორებმა. ჯერ კიდევ ბლომად არიან ელემენტები, რომლებიც ყოველნაირად აფერხებენ გარდაქმნას, არ სურთ იცხოვრონ და იმუშაონ ახლებურად, ზარნავენ მხოლოდ პირადი ანგარებისათვის, პირადი გამდიდრებისათვის. ამიტომ ბრძოლა უნდა განვაგრძოთ, კიდევ უფრო გავაძლიეროთ. დღეს მთლიანად ქვეყანაში შექმნილი ვითარება ხელს უწყობს ამას და აღგვიძრავს სურვილს ვიმოქმედოთ უფრო მტკიცედ და თანამიმდევრულად. ამ ბრძოლაში დასაყრდენი უნდა გახდეს ჩვენი ინტელიგენციის, ჩვენი მუშათა კლასისა და გლეხობის მოწინავე ნაწილი. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ჩვენს პატიოსან მშრომელებს, ჩვენს ინტელიგენციას აყენებენ ზიანს თაღლითები და საქმოსნები, მექრთამეები და გარეწრები.

ყოველთვის საკმაოდ ფხიზელი და პრინციპული როდია უმაღლესი სკოლის ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი. იქნებ ამის შედეგია ფაქტები, როცა მიზნობრივ მიმართულებას უმაღლეს სასწავლებელში საეკიალური „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია“ იძლევა „მშენინდუსტრიის“ ტრესტის № 3 რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა და „თბილისკალამშენის“ № 4 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველო, როცა ზოონიკინრებს ამზადებენ სარჩილის კვების კომბინატის, ბოლნისის საგზაო-საწარმოო უბნის, ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო კანტორის შეკვეთით, ხოლო ვეტერინარს — ბოლნისის რაიონის გეოლოგიურსადაზვერვო ექსპედიციის შეკვეთით? ხომ სრულიად ცხადია, რომ თავისი არსით ამ ფიქციური დოკუმენტების მიღმა სერიოზული დარღვევები იმალება.

ისინი არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, უნდა მოვახდინოთ შესაბამისი რეაგირება. სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ მაშინაც, როცა დოკუმენტ

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲡᲡᲠᲙ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲯᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲡᲡᲠᲙ თეატრალურ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელი ყრილობაზე ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნული სასცენო ხელოვნების წარგზავნილნი სკკᲐ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განიხილავენ საბჭოთა თეატრის ამოცანებს. 6 დეკემბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობდა მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს: **Ე. Ა. ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ, ᲒᲐ. Ი. ᲞᲘᲢᲠᲝᲩᲔᲜᲙᲝᲡ, Ი. Კ. ᲚᲘᲒᲐᲩᲝᲕᲘᲡ, Მ. Ს. ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲪᲔᲕᲘᲡ, Ე. Გ. ᲓᲔᲜᲘᲩᲘᲜᲘᲡ, ᲕᲐ. Გ. ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲘᲡ.**

დისკუსიის მონაწილე დელეგატები აშუქებენ სხვადასხვა პრობლემას, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების განვითარებას ეხება.

ჩვენ ვერთიანდებით პრინციპიულად. ახლებურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაში, თქვა რუსეთის სფსრ თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **Ვ. Ა. ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲐᲛ.** დღეს ისტორიულ შემოქმედებაში მონაწილეობს მთელი ხალხი. და, ვამკვიდრებთ რა ჩვენს ერთიანობას, გვინდა, რომ თეატრი გახდეს პარტიისა და ხალხის კიდევ უფრო ძლიერი, ჯანსაღი და ერთგული თანაშემწე, არ იყოს მონა-მორჩილი და მამებელი მსახური. ჩვენ არ გვეშინია პასუხისმგებლობისა, რომელსაც კეკრულობთ, რადგან თეატრი ჩვენთვის სამუშაო ადგილი კი არა, ჩვენი ცხოვრებაა.

კავშირს უნდა მიენიჭოს უფლება აქტიურად ერეოდეს თეატრის მრავალმხრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული კარდინალური საკითხების გადაწყვეტაში, განაცხადა უკრაინის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Მ. Ა. ᲙᲣᲡᲘᲜᲘᲡ.** დიდმნიშვნელოვანი მისია ეკისრება საკავშირო თეატრს, რომელსაც აქვს სიმბოლური სახელწოდება „მეგობრობა“. იგი მოწოდებულია ხელს უწყობდეს ყველა თაობის მომძღ. თეატრალური კულტურების ოსტატთა კონტაქტების შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას.

საჭიროა, შეფასებებსა და ორიენტირებში ვეყრდნობოდეთ ნამდვილ კომპეტენტურობას, განაცხადა ლენინგრადის დიდი აკადემიური რეჟისორმა **Გ. Ა. ᲞᲝᲕᲚᲘᲪᲘᲜᲘᲜᲒᲝᲛᲐ.** და ეს მარტოოდენ ხელოვნების სფეროს როდი ეხება. მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრისას ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის შესახებ ბევრი რამ მოვისმინე ისეთი, რაც ვიცოდი, და ისეთი, რაც არ ვიცოდი, როგორც რეჟისორს არ შემიძლია თვალი არ ვადევნო იმას, რასაც ჩვენ, პროფესიონალები, ადამიანის ცხოვრების მეორე პლანს ვუწოდებთ. ამ მეორე პლანში მე შევიგრძენი ჩვენი ხალხისადმი ისეთი უსაზღვრო სიყვარული, სურვილი — იგი უფრო უკეთ ცხოვრობდეს, რომ ახლა დემოკრატიად მესმის არა მარტოოდენ დემოკრატია, არამედ ადამიანის, პიროვნების, ინდივიდუალობისადმი ყურადღება. შემოქმედების ერთ-ერთი უცილობელი პირობა, რეჟისორის აზრით, უნდა გახდეს ხელოვნის პატივისცემა, მისი შრომისადმი ნდობა.

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს დროში მონიჭებული გვაქვს სამი განძი: სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და მათი მოხმარების კეთილგონივრული სიფრთხილე, თქვა უზბეკეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Ბ. Რ. ᲙᲐᲠᲘᲔᲕᲐᲛ.** ჩვენი შემოქმედებითი კავშირიც, რომელიც აღმურვილია ძიებისა და თვითგამოხატვის უფლებით, მოვალეა ხელოვნისა და მოქალაქის ღირსების ღრმა გრძნობით იჩენდეს განსაკუთრებულ ზრუნვას მსახიობისათვის, ეხმარებოდეს ტალანტს გაფურჩქვნაში.

ბელორუსიის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Ნ. Ნ. ᲔᲠᲝᲛᲔᲜᲙᲝ** მონიშნა მსახიობთა საამქროს პრობლემების ფართო წრე და მფლანგველობისა და უყაირათობის მაგალითად მოიყვანა ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის თეატრებში დიდი-დიდი ორმოცდაათი პროცენტით გამოიყენება აქტიორული პოტენციალი. ამასთან დაკავშირებით ორატორმა შემოიტანა წინადადება შემუშავდეს მსახიობის უფლებათა და შესაძლებლობათა სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა უფრო სრულად გამოვლინებინა თავისი ნიჭი.

თავისი შემოქმედებისათვის, წვრილმანი მეურვეობისაგან თავისუფალი სასცენო ხელოვნების მომავლისათვის ხელოვნის გაზრდილ პასუხისმგებლობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა სომხეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Რ. Ნ. ᲓᲐᲤᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ.** განავითარა ეს თემა, ლიტვის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Ვ. Ლ. ᲜᲝᲠᲙᲘᲣᲜᲐᲡ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა მთავარია შეიქმნას კარგი ორგანიზაციული ძალა, რომელსაც შეუძლია ზედმეტი აურზაურისა და ხმაურის აუტეხავად დაიწინაუროს თეატრის საქმე. ხელუხლებლად უნდა დარჩეს რესპუბლიკური კავშირების სრული ეკონომიკური ავტონომია, შემოქმედებითი და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, ხაზგასმით აღნიშნა ესტონეთის კონსერვატორიის სასცენო ხელოვნების კათედრის გამგე **Ჯ. Ი. ᲙᲝᲜᲘᲡᲐᲠᲝᲕᲐ,** ამასთან უნდა აღიკვეთოს გაუთავებელი ბიუროკრატიული ანგარიშვალდებულების პრაქტიკა.

საქართველოს მაღლიან ტალანტებზე ილაპარაკა რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Გ. Დ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.** დიდია შემოქმედებითი კოლექტივების საერთაშორისო ავტორიტეტი, მჩქეფარე ცხოვრების ფერხულში არიან ჩაბმული პერიფერიული თეატრები, რომლებსაც ეროვნული სცენის ჭეშმარიტი ოსტატები უძღვებიან. ორატორმა ეს ფრაზებანი ახსნა მტკიცე კონტაქტებით, რომლებიც რესპუბლიკის შემოქმედებითს კავშირებსა და კულტურის ორგანოებს შორის არის დამყარებული.

თავისთავადობა, თავისებურება, დამახასიათებელი სპეციფიკურობა კულტურებს არ აძლევს უფლებას გაემიჯნონ ყოველივე პროგრესულს, რაც ქვეყნის სხვა ეროვნულ თეატრებში ხდება, თქვა ყაზახეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **Ა. Მ. ᲛᲐᲜᲐᲒᲝᲕᲐᲗᲘᲜᲐ.** მან გაიხსენა, რომ მაქსიმ გორკის საბჭოთა კულტურის განვითარების საკითხებზე მუშაობისას სოციალისტური კულტურის მთავარ ამოცანად მიაჩნდა მომძ ლიტერატურათა და ხელოვნებათა ურთიერთგამდიდრება, ურთიერთგავლენა.

ლატვიის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Ვ. Ფ. ᲐᲠᲢᲜᲐᲜᲘ** წამოაყენა წინადადება შეიქმნას კავშირში საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ოპერატიულად შეკრებდა, განაზოგადებდა და გაავრცელებდა ყველა „რესპუბლიკის თეატრალურ გამოცდილებას. აქტიორულ მცნებად გაისმა მისი მოწოდება: ვასწავლოთ ახალგაზრდა ცვლას იმუშაოს თეატრში, იმუშაოს თავდაუზოგავად, დაღლისა და დროის მიუხედავად, სული და გული ჩააქსოვოს თავის შრომას და გამამართლოს მსახიობის სამაყო წოდება.

მადლიერნი ვართ საბჭოთა სცენის ოსტატებისა, რომლებიც მრავალი ათწლეულია მტკიცე მეგობრობით არიან დაკავშირებული სამშობლოს დამცველებთან, თქვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა **Დ. Ა. ᲕᲝᲚᲙᲝᲒᲝᲜᲝᲕᲘᲩᲘ.** ჩვენში ნორმად იქცა, რომ თეატრები და მსახიობთა ჯგუფები მიემგზავრებიან ავღანეთში, საზღვარგარეთ მყოფ ჯარების ჯგუფებში, ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეულ გარნიზონებში, ქვეყნად მშვიდობა სუფევს ჩვენი ხელმძღვანელობისა და ჩვენი ხალხის პოლიტიკური ნების მეოხებით, იმის მეოხებით, რომ საბჭოთა ჯარისკაცები დღენიადაგ ფხიზლად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე. ჭეშმარიტი პატრიოტიზმის თემა უფრო ზნირად უნდა ეღერდეს სცენაზე.

თავისი ცხოვრების უდიდესი ბედნიერება უწოდა მოზარდი მაყურებლისათვის მუშაობას მოსკოვის ბავშვთა მუსიკალური თეატრის დამაარსებელმა და უცვლელმა ხელმძღვანელმა **Ნ. Ი. ᲡᲐᲪᲘᲜᲘ.** მან დიდი მღელვარებით თქვა, რომ ხელოვნების ოსტატები ჯერ კიდევ ვალში არიან ამ განსაკუთრებული სცენის წინაშე. რეპერტუარი ხშირად ბავშვთა მიმართ უყურადღებობას მოწმობს, ისინი კი პატივისცემას მოითხოვენ.

სპექტაკლი რეჟისორისა და მხატვრის ერთობლივი მუშაობით იწყება. ეს ცნობილი ჭეშმარიტება შემთხვევით როდი შეახსენა შეკრებილთ სსრ კავშირის დიდი თეატრის მხატვარმა **Ვ. Ი. ᲚᲔᲕᲘᲜᲗᲐᲚᲘᲡ.** მხოლოდ ოცდაათი თეატრალური მხატვარია ყრილობის დელეგატი, იმ დროს, როდესაც ჩვენს კვეყანაში თეატრების რიცხვი ექვსასს სჭარბობს.

ჩვენს თეატრებს სჭირდება ისეთი პიესები, რომ რეჟისორს აინტერესებდეს მათი დადგმა, მსახიობებს — შესრულება, სცენოგრაფებს — გაფორმება, მაყურებელს — ყურება, თქვა ყირგიზეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Ტ. Ა. ᲐᲑᲓᲣᲚᲐᲔᲕᲘᲩᲘ.** და იმაზე, თუ როგორ იმუშავებს თეატრი დრამატურგებთან, დამოკიდებულია ბევრი რამ, თუ არა — ყველაფერი.

მაგრამ პარადოქსული სიტუაცია იქმნება, თქვა თურქმენეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Ს. Ა. ᲨᲣᲠᲐᲓᲝᲕᲐᲛ,** ერთი მხრივ, ვერ ვიტყვით, რომ პიესები გვაკლდეს: უკანასკნელ ხანს დრამატურგია მწერალთა მასობრივ გატაცებად იქცა. მეორე მხრივ— პიესების სიუხვის მიუხედავად აშკარად ვხედვით ნამდვილად ნიჭმომადლებულ, დროის სულისკვეთების შესაბამის ნაწარმოებებს.

იმ პრობლემებს შორის, რომლებიც თანამედროვე თეატრს აწუხებს, ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის აკადემიური დრამის თეატრის მსახიობმა **Ა. Ა. ᲓᲝᲚᲒᲝᲜᲘᲜᲐ** აღნიშნა. ახალგაზრდა მსახიობის პრობლემაც. ჩვენ თეატრში სრულად არ გვსაქმეობენ, რატომ არ დავუთმობთ მცირე სცენებს ახალგაზრდებს? — თქვა მან.

უკანასკნელ ხანს სულ სხვაგვარი მნიშვნელობა შეიძინა სიტყვამ „კრიტიკოსი“, იგი გაცილებთ უფრო გასაგები და ფართო გახდა, თქვა ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის თეატრმცოდნეობისა და თეატრალური კრიტიკის კათედრის გამგე **Ბ. Ნ. ᲚᲣᲑᲝᲛᲝᲕᲘᲩᲘ.** ი ამ მეორე სიტყვა კი, რომელიც პირველს მჭიდროდ უკავშირდება, გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება. ეს არის „თვითკრიტიკა“. და ამ სიტყვის ძალზე იშვიათად ვიყენებთ საკუთარი თავის მიმართ.

ხელოვნება — ეს არის სინამდვილის შემეცნების საშუალება, აღნიშნა ლენინგრადის ოლქის მცირე დრამის თეატრის მთავარმა რეჟისორმა **Ლ. Ა. ᲓᲝᲚᲒᲝᲜᲘᲜᲐ.** საშუშაროდ, თითქმის აღარ იხმარება მხატვრულობის კრიტერიუმი. დღეს თეატრალურ პრესაში ძვირად თუ შეხვდებით ისეთ ცნებებს, როგორიც არის ნიჭმომადლებული, ღრმა, ჰარმონიული.

ღრმა გარდაქმნების დროს მთავარია არ გაითვალოს, არ დათრგუნოს თეატრის მთავარი ფიგურა — აქტიორი. სამართლიანად უწოდა მას სპექტაკლის თანაბარუფლებიანი თანაავტორი სსრ კავშირის აკადემიური მცირე თეატრის მსახიობმა **Ე. Ა. ᲑᲝᲡᲢᲠᲘᲪᲙᲐᲘᲐᲛ.** არ შეიძლება, რომ ექსპერიმენტის პირობებში თეატრის ხელმძღვანელს მიენიჭოს შეუზღუდველი ძალაუფლება, რადგან ყველა რეჟისორმა როდი მიაღწია იმ დონეს, რომ ესმოდეს თავისი დასის თითოეული წევრის მისწრაფებები, იმედები, შესაძლებლობანი და ცხოვრებისეული მოთხოვნები. ჩვენ გვიხაროდა, როდესაც გვეუბნებიან: „შენ მუშაობ, შენ გვეჯილდებიო“, — მღელვარებით თქვა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობმა **Პ. Ვ. ᲓᲝᲠᲝᲜᲘᲜᲐᲛ.** ეს უნდა იყოს ნორმა, რომელიც უწინარესად თეატრის ხელმძღვანელმა უნდა იწამოს. ძნელ მდგომარეობაშია კოლექტივი, რომელსაც ისეთი ლიდერი არა ჰყავს, დასძინა მოსკოვის მინიატიურების თეატრის მსახიობმა **Ლ. Გ. ᲞᲝᲚᲘᲩᲩᲣᲙᲘᲜᲐ.**

ფაქიზი და რთული სამუშაოების შესრულება მოუწევს თეატრს, რომელიც რეფორმას ჰკიდებს ხელს. და აღბათ ყველაზე მეტად გაუჭირდებათ მის ხელმძღვანელებს, თქვა მოსკოვის სატირის აკადემიური თეატრის მთავარმა რეჟისორმა **Ვ. Ნ. ᲞᲚᲣᲩᲘᲔᲕᲘᲩᲘ.** მან გამოთქვა სურვილი, რომ კავშირმა ერთხელ კიდევ აწონ-დაწონოს ექსპერიმენტის ორგანიზაციული შესაძლებლობანი და ქვაკუთხედად დააყენოს ფსიქოლოგიური მომენტი — როგორ უზრუნველყოს მაღალი ზნეობრივი ატმოსფერო.

სამწუხაროდ, არსებობდა და დღემდე არსებობს ორნაირი თეატრი — დედაქალაქის და პერიფერიისა. აღძრა რა ეს მტკივნეული საკითხი, მოლდავეთის სსრ რუსული დრამის თეატრის მთავარმა რეჟისორმა **Ვ. Გ. ᲐᲕᲘᲗᲘᲠᲝᲚᲘᲜᲐ** ილაპარაკა გაპირვებასა და სიძნელეებზე, რომელთა დაძლევა უხდებათ მეორე, ნაკლებად პრესტიჟული, მაგრამ უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენელ კოლექტივებს.

კავშირმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა შეამციროს სხვაობა შემოქმედებითს პირობებში, შეამციროს დისტანცია, რომელიც მდგომარეობის მხრივ ამორეს დედაქალაქის თეატრებსა და ქვეყნის სხვა ქალაქების კოლექტივებს, მხარი დაუჭიროს თავის კოლეგას საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის მთავარმა რეჟისორმა **Ი. Ი. ᲔᲠᲘᲝᲛᲘᲜᲐ.**

ახალმა კავშირმა მარტოოდენ გზა კი არ უნდა გაუხსნას ყოველივე ნიჭიერს, პოზიტიურს, ხაზგასმით აღნიშნა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **ლ. Მ. ᲘᲛᲐᲜᲝᲕᲐ,** არამედ აგრეთვე მაქსიმალური სიმწვავითა და მომთხოვნელობით უნდა დააყენოს საკითხი იმათი პოლიტიკური მოწიფულობისა და პროფესიული ოსტატობის შესახებ, ვინც ამ გაერთიანების წევრი გახდება.

თეატრალური სამქმის გარდაქმნაში დიდი როლი ეკუთვნით პარტიულ ორგანიზაციებს, განაცხადა ტაჯიკეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **Გ. Რ. ᲫᲐᲚᲐᲛᲐᲗ-ᲖᲐᲓᲔᲗᲘ.** მათი კრიტიკული, მომთხოვნი, მკაცრი და ამავე დროს კეთილმოსურნე დამოკიდებულება დაეხმარა რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივებს გადაეკრთ წლების მანძილზე დაგროვილი ბევრი რთული პრობლემა.

ბედმა მეგობრად მარგუნა ბევრი პარტიული, საბჭოთა, შემოქმედებითი მუშაკი, თქვა ყირიმის დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **Ა. Გ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘᲩᲘ.** და ამ მაღალი ტრიბუნიდან მინდა ჯეროვანი პატივი მივაგო იმათ, ვინც ნიადაგ ჩვენთან ერთად იყო ჭირსა და ლხინში, იზიარებდა ჩვენს სიძნელეებს, გასაჭირსა და საზრუნავს.

ჩვენი დროის სიმაღლის, განახლებით შობილი იმედების, ადამიანის ფაქტორის ძალის შესახებ ილაპარაკა დრამატურგმ **Მ. Ო. ᲗᲐᲢᲠᲝᲕᲐᲛ.** ჩვენი ინტორიის დრამატულ მომენტში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გამოიჩინეს ვაჟკაცობა და სიბრძნე. ორატორმა პატივი მიაგო ამ ვაჟკაცობას და მოუწოდა ყველას გამომიმუშაონ ეს თვისება, ვინაიდან ჩვენი ინერტულობა, სულმოკლეობა და გულგრილობა, როგორც ისტორიის გამოცდილებამ გვიჩვენა, აფერხებს წინსვლას.

არა მგონია, დრამატურგებს ახლა გაუიოლდეთ მუშაობა, აღიარა ბელორუსმა მწერალმა **Ა. Ა. ᲓᲣᲓᲐᲠᲘᲔᲕᲘᲩᲘ.** წინათ, როცა უსაყვედურებდნენ, შეეძლო თავისი ნაწარმოების უღიმღამობა იმისთვის დაებრალებინა, საუკეთესო ადგილები ინსტანციებმა ამოიშალეს. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. დარწმუნებული ვარ: პიესის აკრძალვას შეუძლია მხოლოდ შემოქმედებითის კოლექტივს. მე არ მეგულება თეატრზე უფრო მკაცრი, კეთილმოსურნე და გულშმატკივარი რედაქტორი.

არც ერთ სხვა ხელოვნებას არ ხელეწოფება ისეთი ძალით ჩასწვდეს ადამიანს სულის სიღრმეში, როგორც საოპერო ხელოვნებას, თქვა კამერული მუსიკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **Ბ. Ა. ᲞᲝᲙᲠᲝᲕᲡᲙᲘᲗ.** მით უფრო გულსატკენია, რომ ყრილობამ პრაქტიკულად უგულებელყო ოპერის თეატრი, მისი შემდგომი განვითარების პრობლემები.

გარდაქმნაში ყველაზე მთავარია ახროვნების გარდაქმნა, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა **Ვ. Გ. ᲗᲐᲮᲐᲠᲝᲕᲐᲛ.** ამჟამად ქვეყანაში იქმნება ისეთი ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური წანამძღვრები, რომლებიც გვისახავს იმედს, რომ ეს პროცესი გამიმარჯვებს. ეჭვი არ არის, პოზიტიური ცვლილებები თეატრში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა ხელოვნებაში, დაგვეხმარება უფრო აქტიურად ვიბრძოლოთ ჩვენი საზოგადოების სულიერი სფეროს გაჯანსაღებისათვის.

მომავალი მუშაობის ყველა ეტაპზე, თქვა შემდეგ მინისტრმა, გვინდა ახალ შემოქმედებითს კავშირში ვიხილოთ აქტიური და თანასწორუფლებიანი პარტნიორი და მასთან, ერთად, როგორც საბჭოთა სცენის ერთმა ოსტატმა ზედგამოჭრილად თქვა, შევადგინოთ ერთი თეატრალური ორგანიზმის ორი ხელი. ისევე, როგორც ყველა სერიოზული წამოწყება, კონკრეტული და კონსტ რ უ ქ ციული ღონისძიებების ახალი პროგრამა განმტკიცებულია არა მარტო ლოგიკური არგუმენტებითა და მოსაზრებებით, არამედ შემოქმედ ადამიანთა ერთიანი აზრითაც. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტროს კარგად ესმის, თუ რაოდენ საჭიროა მუშაობის სათანადო პირობები შეეუქმნათ ყოველ შემოქმედებითს კოლექტივს, და მხარს უჭერს ინიციატივას, რომელსაც ამ მხრივ იჩენენ ადგილებზე.

ყრილობას მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის დრამის მსახიობთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **Ი. ᲙᲐᲙᲨᲘ** და თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური მდივანი **ლ. ᲞᲘᲠᲘᲜᲔᲢᲘ.** მათ აღნიშნეს ყრილობის კონსტრუქციული მუშაობა, დემოკრატიული და ნოვატორული სულისკვეთება, ხაზი გაუსვეს, რომ ხელოვნება, რომელიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს, განამტკიცებს ურთიერთგაგების ატმოსფეროს, წარმოშობს რწმენას, რომ გაერთიანებული ღონისძიებით შეეძლებთ დავამარცხოთ ბოროტებისა და აგრესიის ძალები.

შემდეგ დელეგატები შეუდგნენ კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნებს.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲘᲗᲑᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲚᲔᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ აკეთებამ გამოავლინა ზამთრისათვის სახალხო მეურნეობისა და საცხოვრებელი სექტორის მომზადებასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი სპექტრი. მათ შორის, ბევრი მომხმარებელი სეროიზულად არღვევს გაზის ხარჯვის ლიმიტებს, იყენებს არასტანდარტულ გასათბობ დანადგარებს. ეს ითქვა სათბობთან, ელექტრო და თბოენერგიასთან სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია ბაშურის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში გაზის უყაირათო მოხმარების ფაქტებმა, რაც მაგისტრალურ გაზსადენში წნევის შემცირებისა და საქართველოს ბევრ სხვა რაიონში სათბობის მიწოდების შეფერხების მიზეზი გახდა. მაგალითად, მარტო ხაშურის რაიონში ნოემბრის ბოლო დეკადაში გადახარჯეს დაახლოებით 450 ათასი კუბური მეტრი გაზი. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ქმედითი ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმათ მიმართ, ვინც არასტანდარტულ სათბობს მოწყობილობას ყენებს.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ [illegible] ᲐᲠᲘᲡ [illegible] ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ [illegible] ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ [illegible] ᲐᲠᲘᲡ [illegible] ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა კინემატოგრაფის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წლისთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი რევაზ დავითის ძე ჩხეიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია

60 წლისა გახდა რეზო ჩხეიძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, საყოველთაოდ ცნობილი „მაგდანას ლურჯას“, (თ. აბულაძესთან ერთად), „ჩვენი ეზოს“, „ჯარისკაცის მამის“, „ღიმილის ბიჭების“, „ნერგების“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“ და სხვა ფილმების ავტორი. ანკეტური მონაცემების ამ მცირე ნაწილის მიღმა გასაოცარი ენერგიის შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ყოველმხრივ ღირსეული მამულიშვილი დგას.

რეზო ჩხეიძის შემოქმედებითი ცხოვრება 30 წელზე მეტ ხანს მოიცავს. მისი ფილმების მხატვრული ანალიზი კინომცოდნეების საქმეა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ პერიოდში შექმნილი სურათები არაერთხელ გამხდარა კრიტიკოსებისა და ფართო საზოგადოებრიობის განსჯის საგანი, ხოლო „ჯარისკაცის მამამ“ რეზო ჩხეიძის ხელოვნებაში გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა, მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

მასშტაბურობა, ინტერესი თანამედროვეობის სოციალური და ზნეობრივი პრობლემების მიმართ, ტრადიციის ერთგულება, სიკეთე, რომანტიკული პათოსი და, რაც მთავარია, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია — ყველაფერი ეს ახასიათებს რეზო ჩხეიძის ხელწერას.

უკვე ათ წელზე მეტია, რაც რ. ჩხეიძე კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ უდგას სათავეში. ეს პერიოდი ქართული კინოს მრავალი მიღწევით აღინიშნება. ამ მიღწევებს ბევრად განაპირობებს რ. ჩხეიძის, როგორც ხელმძღვანელის, ერთი თვისება — უშურველობა და სხვათა ჩანაფიქრის გაგების უნარი. როგორც ცნობილია, ყოველ შემოქმედს საკუთარი მხატვრული სამყარო აქვს. ეს მას ხშირად ხელს უშლის სხვა შემოქმედის მხატვრული სამყაროს გაგება-აღქმაში. უმეტესწილად ამ ნიადაგზე ხდება ზოგჯერ შემოქმედთა შორის კონფლიქტი. რ. ჩხეიძეს კი მომადლებული აქვს უნარი — გაიგოს სხვათა მხატვრული სამყაროს თავისებურება. ამიტომ შეუძლია ისე უხელმძღვანელოს კინოსტუდიას, რომ არ შეზღუდოს კოლეგები და თანამშრომლები, არ შეცვალოს მათი ჩანაფიქრი, მისწრაფება, მხატვრული ხედვისა და აზროვნების თავისებურება, სტილის თავისთავადობა. ცხადია, ეს ხელს უწყობს კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ შეინარჩუნოს მხატვრული აზროვნების ნაირსახეობა, მრავალფეროვნება, ამიტომაც არის, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შექმნილი ყველა ღირებული ფილმი ინდივიდუალობითა და ორიგინალობით გამოირჩევა.

ჩვენს რთულ დროში, როცა საჭიროა ხელმძღვანელი ყოველ წვრილმანში ჩახედული და გარკვეული იყოს, მართვა-ხელმძღვანელობა უზარმაზარ ფიზიკურ და სულიერ ენერგიას ითხოვს. რ. ჩხეიძე ამ მხრივაც სანმუშოა. იგი სრულიად თავდაუზოგავია შემოქმედებითსა და საწარმოო საქმიანობაში. მართალია რ. ჩხეიძეს დირექტორულ საქმიანობაში დიდად ეხმარება მისი, როგორც შემოქმედის დიდი ავტორიტეტი, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნებოდა, თავდაუზოგაობა და დიდი ენერგია რომ არა. ვინც რ. ჩხეიძეს პირადად იცნობს, მან იცის, რომ იგი საოცრად მკაცრიც არის და უსაზღვროდ ლმობიერიც, თუმცა ხასიათის ამ პოლარულ გამოვლინებათა მიღმა ყოველთვის დიდი კაცთმოყვარეობაც ჩანს. სწორედ კაცთმოყვარეობა, ქართული ხელოვნების ფანატიკური სიყვარული, ქართული კულტურის ერთგულება -არის ის ძალა, რომელიც რ. ჩხეიძეს ჩვენი სულიერი ცხოვრების შუაგულში ამყოფებს და მის ერთ-ერთ აღიარებულ ხელმძღვანელად ხდის. რ. ჩხეიძის პიროვნებაც და შემოქმედებაც ორგანულად და ბუნებრივად აერთიანებს მაღალპარტიულ, პატრიოტულ და მოქალაქეობრივ პოზიციას. ყოველი მისი ფილმი გამსჭვალულია ამ პოზიციით.

რეზო ჩხეიძე სიცოცხლის სიყვარულის მრავალფეროვანი ნიჭითაც არის დაჯილდოებული. მას ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერი ეხება, ყველაფრისათვის იცლის და ყველაფერს ასწრებს. უთუოდ ესეც არის მისი პიროვნების მომხიბვლელობა. სიცოცხლის, მოქმედების, შემოქმედების ეს დაუოკებელი წყურვილი მძლავრად იგრძნობა რ. ჩხეიძის ფილმებში. ამიტომაც მისი შემოქმედება ყოველთვის იპყრობს მაყურებელს ემოციურად, არ ტოვებს გულგრილს.

კრიტიკისა და ფართო მაყურებლის ინტერესი, საკავშირო და საერთაშორისო აღიარება რეზო ჩხეიძის შემოქმედების ყველა ეტაპს სდევს, რისი გამოხატულებაა სხვადასხვა პრიზი და ჯილდო.

ჯერჯერობით კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ მხოლოდ ორჯერ მოიპოვა ლენინური პრემია და ორჯერვე რ. ჩხეიძის ფილმების წყალობით. პირველად მაშინ, როცა „ჯარისკაცის მამაში“ მთავარი როლის შემსრულებელს ს. ზაქარიაძეს მიენიჭა ეს საპატიო ჯილდო, და მეორედ — ამ ცოტა ხნის წინათ, როცა რ. ჩხეიძის და მისი კოლეგების — ს. ჟღენტის, ლ. ახვლედიანის, თ. ჩხეიძის — შექმნილი ფილმი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ დაჯილდოდა ლენინური პრემიით. ეს არ არის მხოლოდ „ქართული ფილმის“ გამარჯვება. ეს მთელი ქართული ხელოვნების საერთო გამარჯვებაა.

ამჟამად რეზო ჩხეიძე წლების მანძილზე ნანატრ ჩანაფიქრს ახორციელებს — ესპანელ კინემატოგრაფისტებთან ერთად მრავალსერიიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმს იღებს სერვანტესის „დონ კიხოტის“ მიხედვით. ეს ცდა უნიკალურია მისთვის — ხელოვანი, რომლის შემოქმედებას ძირითადად თანამედროვე თემატიკა ასაზრდოებდა, ამჯერად ლიტერატურული კლასიკის ეკრანიზაციას შეეჭიდა. თან აირჩია უცხოური ლიტერატურის ნიმუში — ესპანური და საკაცობრიო კულტურის შედევრი. ეს რეალურს და მთელ ქართულ კინოხელოვნებას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ვფიქრობთ, რომ ეს ცდა წარმატებით დაგვირგვინდება. ამის საფუძველს იძლევა რ. ჩხეიძის შემოქმედება, მისი პიროვნება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სამოცწლიანი ცხოვრების ჯვარედინდემდე სახელოვნად განვლო. იმედი გვაქვს, ასე იქნება მომავალში.

60 წელი ბევრიც არის და ცოტაც. ბევრია, თუ შემოქმედებითი პოტენციალი ამოიწურა. ცოტაა თუ ხელოვანი აღსავსეა ახალ-ახალი გეგმებით, ოცნებებით, მისწრაფებებით. რაკი რეზო ჩხეიძის შემოქმედებითი ცხოვრება აღსავსეა ნაირ-ნაირი გეგმებით, 60 წელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების შუა გზად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ ვულოცავთ მას დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებთ კიდევ მრავალი სასახელო ფილმით გაეხარებინოს ქართველი მაყურებელი და ქართული საბჭოური კინოხელოვნება.

ა. დვალიშვილი,
საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

რეზო ჩხეიძის დაბადების 60 წლისთავი

ხელოვნის გზნებით, მამულიშვილური გულით



რედაქტორს სტამბაში სთხოვეს და მის კაბინეტში ორნიღა დავრჩით — ცნობილი ქართველი მწერალი, და ამ სტრიქონების ავტორი. თუმცა ამით საუბრის თემა არ შეცვლილა, სამივეს ერთნაირად გვაღელვებდა ქართული კინოს პრობლემები. ეს იყო რამდენიმე წლის წინ, როცა რესპუბლიკურ პრესაში დისკუსია გაიმართა ქართული კინოს ეროვნულ საწყისებზე და კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ თვითონ შეაჯამა ეს ცხარე, უაღრესად საჭირო კამათი. ასე დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე რეზო ჩხეიძის საუკეთესო პოლემიკური სტატია „სიმართლე სხვას ლაპარაკობს“.

— რა ბედნიერი ხართ ქართველი კინემატოგრაფისტები, რომ ასეთი ლიდერი გყავთ! — მითხრა ჩემმა თანამოსაუბრემ.

სულაც არ გამკვირვებია ეს ამაღლებული ფრაზა, უფრო იმ სიტყვებზე ვფიქრობ, ეს ფრაზა ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული